




ივანე მარაბელის
უბიტიფიკა

„ბავრი რამ ხდება, ჰორაციო, მათა და ქვეყნად,
რაც ფილოსოფოსთ არც აი დასიზარებათ...“
შექსპირი - „ჰამლეტი“



ივანე მარაბელი

ივანე მარაბელი - მწერალი,
მთარგმნელი, პუბლიცისტი,
საოჯახო მოღვაწე

2014 წელი ივანე მარაბელის
საიუბილეო წელი - 160 წელი



მე მწამებდა ივერიის ბედი მწუხარე,
კეისრის სევდა... და იავოს ვნებიანი ქვეყანა...
თუმც სამშობლოსთვის ვიმარხულე და ვიმწუხარე, -
„ბევრი რამ ხდება, ჰორაციო, ცათა და ქვეყნად...“
სადა ვარ?... ზეცად! - სად მშფოთვარე ჰამლეტის ლანდი.
მშვიდია ისე, როგორც ლირი და კორდელია...
მაგრამ, თუ სადმე ეკალბარდში იტირებს ვარდი,
ან თმა გაშლილი შემოგზნდებათ ოფელია;
ან თუ ზესკნელის სინათლისკენ გაგეჰცათ თვალი,
რინარდის ზმალმა თუ გააპო ღამის თცნება,
თუ მკვიდრად ნაშენ ციხე-ღარბაზს გაუჩნდა ბზარი,
ან უცხო მგზავრი შეაყოვნა ცისკრის ღოცებმა;
ან სარეცელზე, ვით შამპნარში ჩხრილა გველის
თუ შეგეფეთათ ბანოვანის თამამი მზერა...
ან თუ სადავემისეგებული ველური ცხენი,
შედგება ფალცზე, ვით ღებონი, ვით ბედისწერა! -
მე მომიგონეთ! - ივერიის ბედზე მწუხარე,
შლეგი ბრუტუსის სიავე და ვნებიანი ქვეყანა...
საქართველოსთვის ვიმარხულე და ვიმწუხარე, -
„ბევრი რამ ხდება, ჰორაციო, ცათა და ქვეყნად...“

ავტორი: ჰორაციო ტინათინ მღვდელიაშვილი



მისამართი: მცხეთის რაიონი, სოფელი
წიროვანის დევენილთა დასახლება
ტელ: 599 98 21 22
E-mail: machabeli_museum@yahoo.com

ივანე მარაბელის მუზეუმი

საქართველო, 2013 წელი

ივანე მარჯალი – მწერალი, მკვლევარი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე



ივანე მარჯალი დაიბადა 1854 წლის 27 იანვარს (8 თებერვალი), ისტორიულ სამაჩხლოს სოფელ თამარაშენში, ძველი ფეოდალის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მარჯალმა ოჯახშივე მიიღო. საფუძვლიანად გაეცნო ქართულ ფოლკლორს და კლასიკურ მწერლობას. 1863 წლიდან თბილისის გიმნაზიაში სწავლობდა, ხოლო გიმნაზიის წარჩინებულად დამთავრების შემდეგ მარჯალმა 1871-74 წ.წ. სწავლა პეტერბურგის უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე გააგრძელა. საფუძვლიანად შეისწავლა უცხო ენები, იყო პეტერბურგის დრამატული წრის ერთ-ერთი დამაარსებელი.

1873 წ. ივ. მარჯალი დაუახლოვდა ქართული სათავადაზნაურო ბანკის საქმეებზე პეტერბურგში ჩასულ ილია ჭავჭავაძეს, მასთან ერთად თარგმნა შექსპირის „მეფე ლირი“, რომელმაც დიდი მოწონება და აღიარება მოიპოვა ქართულ საზოგადოებაში.

1874-77 წ.წ. ივ. მარჯალი სწავლობდა ჯერ გერმანიაში, პოპენჰაიმის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში, მერე პარიზში, სორბონის უნივერსიტეტში.

1879 წ. მარჯალი საქართველოში დაბრუნდა და ნაყოფიერ შემოქმედებით და საქმიან მოღვაწეობას შეუდგა.

ივ. მარჯალი აქტიური მონაწილე იყო ყველა იმ საზოგადოებრივ წამოწყებისა, რომელსაც ი. ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა. მარჯალს ვეზღავთ: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, თეატრალურ დასში, სასკოლო კომიტეტებში, სათავადაზნაურო ბანკში, იყო შოთა რუსთაველის პოემის 1888 წ. გამოცემის რედაქტორი, დიდი დახმარება გაუწია „ვეფხისტყაოსანის“ ილუსტრატორს, უნგრელ მხატვარს მიხაილ ზინს, აგრეთვე ინგლისელ მწერალს მარჯორი უორდროპს და პოემის სხვა უცხოელ მთარგმნელებს. მანვე რუსი კომპოზიტორის მ. იპოლიტოვიჩანოვის თხოვნით დაწერა ლიბერტო, ოპერა „ვეფხისტყაოსნისათვის“.

ი. მარჯალი 1879 წლიდან „ივერიის“ აქტიური თანამშრომელი, ხოლო 1882-83 წ.წ. რედაქტორი იყო. მისი პუბლიცისტური წერილები სხვადასხვა საკითხების შესახებ გამოირჩეოდა მკაფიო მიზანდასახულობით. 1883-85 წ.წ. იგი რედაქტორობდა გაზეთ „დროებას“.

დიდი როლი ითამაშა ივანე მარჯალის შექსპირის თარგმანებმა ქართული დრამატურგიის განვითარების საქმეში. მარჯალმა გაამდიდრა ქართული თეატრის რეპერტუარი. თარგმნა მოლიერის „ეჭვით ავადმყოფი“, სხვადასხვა ენიდან გადმოაკეთა პიესები „ადვოკატი მელაძე“, „ფრუ-ფრუ ანუ ცქრიალა საბაგელი“, „ორ ცეცხლ შუა“ და სხვა. ეს იყო ახალი სიტყვა ქართულ მხატვრულ მთარგმნელობით ლიტერატურაში.


ივანე მარჯალის მიერ თარგმნილი „ჰამლეტი“ (1886 წ.), „ოტელო“ (1888 წ.), „მაკბეტი“ (1892 წ.), „რიჩარდ III“ (1893 წ.), „ოულიუს კეისარი“ (1896 წ.), „ანტონიო და კლეოპატრა“ (1898 წ.) და „კორიოლანოსი“ (1898 წ.) გამოირჩევა ორიგინალთან სიახლოვით, შექსპირის მხატვრული ენისა და დიალოგის ვირტუოზული გადმოცემით, აზრის სინათლითა და დინამიკურობით, დედნის პროზის ლაკონურობის შენარჩუნებითა და შექსპირული თეთრი ლექსის ოსტატური გადმოღებით. გარდა ამისა, მთარგმნელი თავისუფლად ინტერპრეტირებს ფრაზეოლოგიებით, ცდილობს მაქსიმალურად ქართული გაზაღოს ინგლისელი კლასიკოსის ნაწარმოებები.

მისმა შექსპირისეულმა ბრწყინვალე თარგმანებმა ივ. მარჯალს ღირსეული ადგილი დაუქვედრა ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მარჯალი გვევლინება ქართული მთარგმნელობითი სკოლის იშვიათ გენიოსთაგანად, მისი თარგმანები უმომენტოვანესი მოვლენაა ქართულ მთარგმნელობით ისტორიაში.

საისტორიო წყაროებში მარჯალის გვარი XV საუკუნიდან მოიხსენიება. ერთი შტო ამ გვარისა დასახლებული იყო დიდი ლიახვის აუზში. რეზიდენცია ჰქონდათ თამარაშენში, ერთდროს ცნობილ ქალაქში. ეს ქალაქი 1190 წელს თამარ მეფეს დაუარსებია, რომელიც მის საზაფხულო რეზიდენციად ითვლებოდა. მაგრამ ამ ქალაქმა დიდხანს არ იარსება, რუსუდანის მეფობის დროს იგი ერთიანად ააოხრა და მოსპო ჯალალედინმა, შემდეგ თანდათანობით ისევ აღმოცენდა, მაგრამ არა ქალაქად.

ივანე მარჯალის მუხაუმი

ივ. მარჯალის სახლ-მუხეუმი ქართული კულტურის ერთ-ერთი კერაა. მამაპაპისეული ადმოსავლეო ჩუქურთმებიანი სახალხე, რომელიც მოზაიკური მინებით, ჭრელი სარკვებითა და ვიტრაჟით „მამაპაქს“ ეპიზოდების ამსახველი ნახატებით ყო-



ფილა შემკული, ივ. მარჯალის დაბადების წელს გადაუკეთებიათ. XIX საუკუნის II ნახევარში ივ. მარჯალის უფროსმა ძმამ, ვასომ, ევროპული სტილის სასახლე აავი. შენობა სოფელ თამარაშენში აღმოსავლეთ განაპირას მდებარე ლიახვის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა. ქართული აგურიით ნაკები ორსართულიანი სასახლის პირველი სართული ორნაწილად იყოფოდა: დასავლეთით – ნახევარი სარდაფი, აღმოსავლეთით – მარანი. აგურის კამრით გადახურულ მარანში 60-მდე ქვევრი ინახებოდა. ამ მარანში დაწურული ღვინო ერთ დროს განთქმული იყო მთელს შიდა ქართლში და მას „თამარაშენლს“ უწოდებდნენ.

სოფელ თამარაშენში მდებარე ივ. მარჯალის სახლ-მუხეუმი 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად განადგურდა... დღეს-დღეობით მუხეუმი სოფელ წეროვანის ღვეწილთა დასახლებაში ფუნქციონირებს და შეძლებისდაგვარად აღასრულებს საკუთარ მისიას: მუხეუმის რეაბილიტაციას და მის პოპულარიზაციას. მუხეუმი ინახება ივ. მარჯალის შესახებ საინტერესო მასალები და აგრეთვე ფუნქციონირებს ივ. მარჯალის სახელობის ბიბლიოთეკა.

1898 წლის 26 ივნისი ყველაზე იდუმალეობით მოცული დღეა ქართული ლიტერატურის ისტორიაში, ამ დღეს უკვალოდ დაიკარგა ივანე მარჯალი. წინა საღამოს იგი კარ გუნებაზე იყო, ხუმრობდა, იცინოდა. დიდხანს ეთამაშებოდა ნარდს ქუთაისიდან სტუმრად ჩამოსულ მეგობარ-აკაკი წერეთელს, მერე ერთბაშად დაღალა ივრძო, მძიმე ავადმყოფობა ჰქონდა გამოვლილი, სტუმართან ბოდიში მოიხადა და თავის ოთახში შევიდა დასაძინებლად. ამის შემდეგ იგი არავის უნახავს... დღემდე არავინ იცის თუ რა ბედი ეწია... მისი ცხოვრების ტრაგიკული დასასრული დღემდე ბურუსით არის მოცული...

1898 წლის 26 ივნისის შემდეგ მარჯალი არავის უნახავს და დღემდე გაურკვეველია მისი უკვალოდ დაკარგვის ამბავი... მარჯალის ტრაგიკული გაუჩინარება დღემდე შეუხორცებელი ჭრილობაა ქართველი ერის ისტორიაში...